

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი N 2

ქ.ვანი თავისუფლების N65

31 იანვარი 2019 წელი

11³⁰:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაძე, მალხაზ ცერცვაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, გელა ვარდოსანიძე, შოთა გიორგაძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: ივანე კორძაძე, თამთა დვალიშვილი, გია ოჩხიკიძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, კობა მაგნიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირები:

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**.

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხს: /ივანე მამფორია/

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურებისა და საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: /ტარიელ ბარამიძე/

დაადგინეს; დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებზე. კერძოდ;

ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტების მიხედვით, ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში შემოსულობები და გადასახდელების მოცულობა იზრდება 281,2 ათასი ლარით, რაც განპირობებულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N13 განკარგულებით, უფლებამოსილების დელეგირების საფუძველზე, საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილი თანხების ბიუჯეტში ასახვით.

ზემოაღნიშნული განკარგულების საფუძველზე, ბიუჯეტის პროგრამულ კლასიფიკაციაში ემატება ახალი პროგრამა „04 03 - ზოგადი განათლების ხელშეწყობა“. აღნიშნული პროგრამის ტრანსპორტის ხარჯები განისაზღვრება 51,2 ათასი ლარით, საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსებაზე სხვა ხარჯების მუხლით მიიმართება 230,0 ათასი ლარი.

სკოლების რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მომზადების მიზნით, 22,5 ათასი ლარით გათვალისწინებული იყო საბიუჯეტო პროგრამა „03 03 ურბანული ტერიტორიის კეთილმოწყობის“ ასიგნებებში, ახალი საბიუჯეტო პროგრამის ჩამატების გამო, 22,5 ათასი ლარის გადატანა განხორციელდება „04 03 - ზოგადი განათლების ხელშეწყობის“ ასიგნებებში.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

დაადგინეს:

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N 38 დადგენილებაში .

/დანართი N 2/

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ტარიელ ბარამიძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში

განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურებისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აიტი სპეციალისტს თანამდებობრივი სარგო გაეზარდოს 50 ლარით ანუ 700 ლარიც ნაცვლად მიეცეს 750 ლარი.

კომისიის წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ მეორე საკითხს.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

დაადგინეს:

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურებისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დანართი N 3/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე